



უნივერსიტეტი

1
დეკემბერი,
სამშაბათი,
2015 წ., №15

წომერში

- **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს ახალი დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ჰყავს** 33.2
- **ლაქცია-სამინარების გაცდენებზე რეაგირების ფორმები დაინახება** 33.4
- **თსუ საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის — Eflow — დანერგვასაც აპირებს** 33.4
- **ახალმა რეალობამ უნივერსიტეტში საგანგაშო სიბნალები „დააცხრო“** 33.7
- **ტაროჩიშვილის ტრილოგია — პირველი ფუნდამენტური კვლევა ქართულ სამეცნიერო სივრცეში** 33.7
- **XX საუკუნის 30-იანი წლების საბჭოთა ისტორიის კრიტიკული გააზრება** 33.10



■ **გონა ჯაფარიძე: ყველაფერი გამაღუპავით დაიწყო...** 33.11



■ **რა უთხრა ნაირა გელაშვილმა ახალგაზრდებს?** 33.15

სტუდ-მუიში

გვ.8-9 გვ.

სასწავლო დარგში თსუ-ს ახალი ვიცე-რექტორი ჰყავს



სასწავლო დარგში ვიცე-რექტორად პროფესორი დარეჯან თვალთვაძე დაინიშნა, რომელმაც ამ პოსტზე ემერიტუს-პროფესორი ლევან ალაქსიძე შეცვალა.

დარეჯან თვალთვაძე უკვე მეორედ იყო არჩეული თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანად და, უნდა ითქვას, რომ სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს მოახერხა ფაკულტეტმა „წელში გამართვა“ და წარმატებულის იმიჯის შექმნა. ალბათ, ქალბატონ დარეჯანს ახალ პოსტზე „ნისკვილებთან ბრძოლა“ არ მოუხდებია, მით უფრო, რომ სასწავლო დარგში კვლავ ბევრი პრობლემა დაბრუნდა, რასაც სტუდენტთა ჯგუფები ხშირად აპროტესტებენ და ახალ ვიცე-რექტორს ასპარეზზე საქმიანობის გასაგრძელებლად საუნივერსიტეტო საზოგადოების მხარდაჭერა ეძებდა. რექტორის მოადგილედ დანიშნულ პროფესორს, ქალბატონ დარეჯან თვალთვაძეს, მასთან საუბრისთვის გარეწილ ახალ **გვ.3 გვერდზე** საბაზზე დავაკითხეთ.

რამდენად ნაყოფიერად მუშაობს ახლად შექმნილი სტუდენტური კომისია განათლების სამინისტროსთან ინტერვიუ თსუ თვითმმართველობის პრეზიდენტთან შალვა საბაურთან



თსუ-ის სტუდენტების შეხვედრები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გრძელდება. კომისიაში, რომელიც 20-21 ოქტომბერს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ გამართული აქციების შემდეგ შეიქმნა, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის გარდა, კიდევ ოთხი სტუდენტი — იურიდიული ფაკულტეტიდან გახვდა კვირიკაშვილი, ზუსტ და საზოგადოებათმცოდნეობის ფაკულტეტიდან გეგა ბეჟაური, სოციოლოგი და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან გიორგი კაკურიძე და აკოშვილისა და გიგინეის ფაკულტეტიდან ანსორ ბერუაშვილი. კომისიასთან მუშაობა 12 კუნძულის პრობლემათა სიის მიხედვით მიმდინარეობს, რომლებიც ეტაპობრივად განიხილება და, თემატიკის მიხედვით, განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრებს თსუ-ის ადმინისტრაციის შესაბამისი უწყების ხელმძღვანელი პირებიც ესწრებიან. ბოლო შეხვედრაზე, რომელიც 24 ნოემბერს გაიმართა, თსუ-ის ადმინისტრაციაში დასაქმებული კადრების კომპეტენციები განიხილეს. კონკრეტული დეტალების შესახებ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს შალვა საბაურს ვესაუბრეთ.

გვ.3 გვერდზე

„დაგვეხმარე — შევცვალოთ“ მოგროვით პრობლემები „ფითბაქის ყუთებში“



გვ.5 გვერდზე

რა საკითხს დასვამდით თსუ-ის ხელმძღვანელობის წინაშე?



იაზა მისხია,

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი:

უნივერსიტეტის მადლიერი კორპუსის ინფრასტრუქტურა მოძველებულია. აქა-იქ ტარდება ლოკალური ხასიათის სარემონტო სამუშაოები, მაგრამ მთლიანობაში მდგომარეობა არაა დაკმაყოფილებელი...

ამირან ბარკინიძე,

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

ეშველება რაზე II კორპუსის ისეთ აუდიტორიებს, როგორებიცაა: 016 და მრავალი მსგავსი აუდიტორია...

მირის შალიკაშვილი,

იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:

ცენტრალურ ადმინისტრაციას გაზეთის საშუალებით მიიწოდებიან ორი პრობლემის შესახებ მივიანდო ინფორმაცია. პირველი — თსუ-ის II კორპუსში იურიდიული ფაკულტეტისთვის გამოყოფილი აუდიტორიები არასაკმარისია...

რაც შეეხება სხვა საკითხებს, ისინი ინფრასტრუქტურულ-სანიტარულ პრობლემებს ეხება. ანტისანიტარია საპირფარეოებში, მე-3 სართულზე, სადაც კონსტიტუციური სამართლის მიმართული საპირფარეოებია...

როდესაც II კორპუსი აშენდა, მაშინ იურიდიული ფაკულტეტი მხოლოდ 100-120 სტუდენტს იღებდა. დღეს ეს რიცხვი 500-ს უტოლდება. სავარაუდოდ, ეს კორპუსი არ იყო ასეთი რაოდენობის სტუდენტზე გათვლილი...

ლია ნულაია,

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

პრობლემა, რის შესახებაც მსურს საუბარი, განსაკუთრებით შუალედური გამოცდების პერიოდში მეტწილად. ვკითხულობ 6 საგანს, მათ შორის კვლევის მეთოდების კურსს...

ამ ყველაფერთან ერთად, საკმაოდ მტკივნეული პრობლემა არაადეკვატური სამუშაო პირობებიც. ბრიუსელის კონგრესიდან, ტემპის პროექტიდან, კოლეგები იყვნენ ჩამოსვლები...

მომხდარ ნატო ოზოლაქაძე

თელავში ვიზიტის მიზანი



ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა და თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი თელავში იმყოფებოდნენ...

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ჰყავს

მას შემდეგ, რაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, თსუ-ის რექტორის ბრძანებით, ვიცე-რექტორად დაინიშნა...

კომენტარი

ნანა ბაფრინდაშვილი:

როგორც მოგეხსენებათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორად დაინიშნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე...

აირჩევს ახალ დეკანს, რომელსაც ექნება თავისი ხედვა და გეგმები და ფაკულტეტი ახალი დეკანის ხელმძღვანელობით გააგრძელებს მუშაობას.



„დაგვიხმარე — შვიცვალოთ“ მოაბრძოვეთ პრობლემები „ფითბექის ყუთებში“

თსუ-ის მე-3 კორპუსის შემოსასვლელსა და დერეფნებში გაჩნდა ე.წ. „ფითბექის ყუთები“ წარწერით: „ჩვენ გვჭირდება შენი დახმარება! დაგვიხმარე — შვიცვალოთ!“ გაზეთის რედაქცია დაინტერესდა ამ ყუთების მე-3 კორპუსში განთავსებისა და საუნივერსიტეტო საზოგადოებისადმი ასეთი მონოდეების მიზეზით. ამ საკითხზე ჩვენ ვესაუბრეთ თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებს ნინა ცინაძესა და მარიამ ქაბაძეს.

ნინა ცინაძე: „ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ჩვენს ფაკულტეტზე არსებული პრობლემებით, რომელზეც საუბარს დაიწყებენ და თავიანთ პოზიციებს მოგვანოდებენ ჩვენი ფაკულტეტის როგორც სტუდენტები, ასევე, პროფესორები. ამ ყუთების დადგმას აქვს ის დადებითი მხარე, რომ მიგნით მოთავსებულ წერილობით გამოხმაურებებზე არ ფიქსირდება სახელი და გვარი და ყველა სახის პრობლემა, რაც ამ კორპუსში არსებობს, ჩვენამდე მოაღწევს. გვინდა, შევცვალოთ არსებული რეალობა და ფაკულტეტის დეკანისა და სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელების წინაშე წამოვჭრათ ყველა ის საკითხი, რაც სტუდენტებს და პროფესორებს ანუხებთ. ჩვენ არ ვეხებით პერსონებს, ჩვენ გვინდა მივიღოთ უკუკავშირი საუნივერსიტეტო საზოგადოების მხრიდან, რათა ერთობლივად ვიბრძოლოთ სასურველი გარემოს შესაქმნელად ჩვენს ფაკულტეტზე. შესაძლოა, ჩვენი ეს წამოწყება გადამდები გახდეს სხვა ფაკულტეტების თვითმმართველობებისთვისაც“.

გაზეთის რედაქცია დაინტერესდა, „ფითბექის ყუთების“ განთავსებისა და თსუ-ის III კორპუსში პრობლემების წერილობით შეგროვების იდეასთან დაკავშირებით რა იცის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ და გამოეხმაურა თუ არა სტუდენტური თვითმმართველობის წამოწყებას. ამის თაობაზე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ მამარ ბაბოშიძეს ვაგვსაუბრეთ.



გალითად, III კორპუსში საკვების და წყლის პრობლემაა. დერეფნებში არ დგას სწრაფი კვების აპარატები. ესეც არ არის ადვილი გადასაწყვეტი არც ჩვენთვის და არც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის. ამდენად, მსგავსი შენიშვნები შეიძლება შემოვიდეს და ამ ყველაფრის გამოსწორება და თუნდაც გამოსავალი ყველამ ერთად უნდა ვიპოვოთ და ვითავოთ.

მოამზადა ნინო კაპაშვიამ

გლიც-ინტერვიუ

— ყუთები, რომელიც გაჩნდა III კორპუსში, გავარკვეით, რომ თქვენი ფაკულტეტის პრობლემების შეგროვების მიზნით განთავსდა შემოსასვლელსა და დერეფნებში. თქვენი, როგორც ფაკულტეტის ხელმძღვანელის, რეაქცია როგორი იყო?



— მქონდა საუბარი ჩვენი ფაკულტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და იდეა მომეწონა. ჩვენ ახლად შექმნილი ფაკულტეტი ვართ და ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ სერვისის სტუდენტებისთვის, მაგრამ ამის გაკეთება უკუკავშირის გარეშე ძალიან ძნელია. ერთი ჩვენი მხრიდან დანახული რეალობა და მეორეა სტუდენტების მხრიდან აღქმული ვითარება ჩვენს კორპუსში. სხვათა შორის ვიცოდი, რომ ყუთების საშუალებით შენიშვნებისა და პრობლემების წერილობით შეგროვება მხოლოდ სტუდენტების მისია იყო და თუ პროფესორე-

ბიც ჩაერთვებიან ამ საქმეში, კარგი იქნება. ჩვენს პროფესორებსაც სჭირდებათ ხელშეწყობა. ერთი, როცა ჩვენ, ადმინისტრაცია, ვფიქრობთ — რა გავაკეთოთ და მეორეა უკუკავშირი, რაც სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებაში დაგვიხმარება.

— როგორ ფიქრობთ, გაივსება ყუთები?

— თუ არ გაივსება, ესეც რაღაცის მაჩვენებელი იქნება, თუ გაივსება, ეგეც სიბოლოა. შევხედოთ, როგორი იქნება დინამიკა.

— პრობლემებს, რომელიც წერილობით შემოვა, ვის ყურამდე მიიტანთ?

— პირველ რიგში ჩვენთვისაა ეს მნიშვნელოვანი. რისი გავლენა იქნება ჩვენ, ადგილობრივ ადმინისტრაციას შეგვიძლია, ბუნებრივია, ვეცდებით, რომ გავაკეთოთ. რაც არ შეგვიძლია, ანუ თუ ფაკულტეტის დონეზე ვერ გადაწყდა ესა თუ ის საკითხი, უკვე საუნივერსიტეტო ადმინისტრაციას მივმართავთ. ასე რომ, პრობლემები სტუდენტებისთვისაც და ჩვენთვისაც ცოტა არ არის, თუნდაც, მა-

ახალი ურთიერთობები თსუ-სთვის



24 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „ქობულეთის სამედიცინო ცენტრის“, შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონულ ცენტრსა“ და შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, ქობულეთის სამედიცინო ცენტრის გენერალურმა დირექტორმა,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ნუგზარ გურგენიძემ, ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის დირექტორმა ჯეგა დუმბაძემ და ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორმა მალხაზ ხალვაშმა მოაწერეს. მხარეები მიზნად ისახავენ სტუდენტებისთვის, მაძიებლებისთვის და ახალგაზრდა ექიმებისთვის თანამედროვე სტანდარტის შესატყვისი სამედიცინო განათლებისა და პრაქტიკული უნარების მიცემის ხელშეწყობას.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

27 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ოსაკის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად, მხარეები მიზნად ისახავენ აღნიშნული უნივერსიტეტების ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების თანამშრომლობას, გაცვლითი პროგრამების განხორციელებას და ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩატარებას.



სოციალური თერაპიის სახლის მხარდასაჭერი ღონისძიება

27 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სოციალური თერაპიის სახლის მხარდასაჭერი ღონისძიება. დღეს ეს ცენტრი ფინანსური პრობლემის გამო დახურვის საფრთხის წინაშე დგას. ორგანიზაციის მისია არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური ინტეგრაცია და თანამო-

ნაწილობა, ერთობლივ ცხოვრებაში მათი წვლილის აღქმა საზოგადოების მიერ. აღნიშნულ ღონისძიებას თსუ-ის რექტორის მონაწილეობა და მხარდასაჭერი და საქართველოს პირველი ლედი მაკა ჩიჩუა ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე გამოიფინა დღის ცენტრის ბენეფიციარების ხელნაკეთი ნივთები, ასევე მხარდასაჭერი ხელოვნების სკოლის „DePhani Kid Art“ მოსწავლეების ნამუშევრები.

სტუდენტთა 75-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის პროგრამის ნიგნის პრეზენტაცია



25 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა 75-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის პროგრამის ნიგნის პრეზენტაცია და კონფერენციაში გამარჯვებულ სტუდენტთა დაჯილდოება. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულს, რომელიც ყოველწლიურად გამოიცემა, წელს მიენიჭა ნიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISBN) და საერთაშორისო სტანდარტული სერიული ნომერი (ISSN).

სტუდენტები ღუბაი მოლში DP World-ის გამოფენაზე


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გიორგი მეშველიანი და სიმონ ინგია, აგრეთვე „თავისუფალი უნივერსიტეტის“ სტუდენტები გიორგი გაბარაშვილი და დიმიტრი ცხოვრებაძე მონაწილეობას მიიღებენ ღუბაი მოლში DP World-ის გამოფენაზე. საერთაშორისო ტექნოლოგიურ გამოფენაზე, რომელიც 24 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე გაიმართება, სტუდენტები წარადგენენ ერთობლივ გამოგონებას — ინტერაქტიულ ხელთათმანს. ვირტუალური ხელთათმანის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ვირტუალურ რეალობაში ვირტუალური ობიექტების მართვა და შეგრძნება. გამოფენაზე სტუდენტებს პოტენციურ ინვესტორებთან შეხვედრის შესაძლებლობა ექნებათ. სტუდენტებმა, სხვა გამოგონებებთან ერთად, ინტერაქტიული ხელთათმანი 10-17 ნოემბერს თბილისში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულზეც წარმო-



ახალმა რეალობამ უნივერსიტეტში საგანგებო სიგნალები „დააცხრო“

თსუ-ის კანტინაში კიდევ ერთი დამფუძნებლის ნეშტი გადაიხსენეს

უნივერსიტეტის ისტორიის უახლეს წარსულში ქართული პრესის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა საგანგებო ინფორმაციის შემცველი სტატიები, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის გაყიდვა უნდა ხელისუფლებას და, ამასთან, იგეგმება თსუ-ის პანთეონის სხვაგან გადატანა. საზოგადოება მონუსხული ელოდა ამ პროცესს და მაშინ მეტად აქტუალური იყო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ტალახში ამოსვრა. ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ და უნივერსიტეტში ახალი რექტორის მოსვლამ ეს „საგანგებო სიგნალები“ დააცხრო და თსუ-ის პანთეონის წარსული დიდებულ კი შემატა ჯერ იოსებ ყიფშიძის ნეშტის და ამჟამად უკვე იუსტინე აბულაძის ნეშტის გადმოსვენებით. აფასებს თუ არა ახლა უკვე საზოგადოება ამ ახალ ინიციატივებს, ძველი სათქმელია, რადგან, როგორც ნესი, უარყოფითი ინფორმაციები ატაცება უფრო იოლია ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე პოზიტიური ფონის დანახვა და ამის სათანადო პატივისცემა.



იუსტინე აბულაძე



განაცხადა იუსტინე აბულაძის შვილიშვილი იუზა აბულაძემ.

თამარ ლადინი

უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, ცნობილი ფილოლოგის, ირანისტის, რუსთაველოლოგის, აღმოსავლეთმცოდნეობის ცნობილი სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფუძემდებლის იუსტინე აბულაძის (1874-1962 წწ.) ნეშტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში, 18 ნოემბერს, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან გადაინაცვლებს.

პირველად იოსებ ყიფშიძე გადმოასვენეს, ამჟამად კი აქ იუსტინე აბულაძის ნეშტი დაიკვიდრება განსასვენებლს. ვერ მოხერხდა ანდრია ბენაშვილის გადმოსვენება, ვინაიდან საფლავი დაკარგულია, ამიტომ გადაწყდა პანთეონში მისი ძეგლის დადგმა და ამით დასრულდება უნივერსიტეტის დამფუძნებელთა საფლავების გადმოსვენება თსუ-ის პანთეონში.

პროფესორი იუსტინე აბულაძე იყო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მკვლევარი, განსაკუთრებით სპარსული ენისა და ლიტერატურის სფეროში. მან საფუძველი დაუდო საქართველოში სპარსოლოგიას, ირანისტიკის მიმართულებას. იგი სწავლობდა „ვეფხისტყაოსანს“, იკვლევდა „ვისრამიანსა“ და „შაჰნამეს“. მის საფლავზე დაიდგება ძეგლი და ამით მივაგებთ პატივს ყველა დიდ ადამიანს, რომელმაც საქართველოში საფუძველი ჩაუყარა უმაღლეს განათლებას“, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

ცერემონიას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, იუსტინე აბულაძის შთამომავლები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლები, რომლებმაც პატივი მიაგეს და ყვავილებით შეამკეს პროფესორის საფლავი.

„იუსტინე აბულაძემ ღირსეული ადგილი დაიკვიდრა უნივერსიტეტის დამფუძნებლების გვერდით, მაღლობა რექტორს, რომ კიდევ ერთხელ შეგვახსენა ის დიდი ღვაწლი, რომელიც მას ქართულ-სპარსული ურთიერთობის განვითარებაში მიუძღვის“, —

„იშვითად თუ იპოვით პიროვნებას, რომლის სახელი და საქმე სამი საუკუნის მანძილზე გრძელდება — ასეთია იუსტინე აბულაძე, რომელიც IX საუკუნეში დაიბადა, XX საუკუნეში იმღვანედა, ხოლო მისი სახელი XI საუკუნეში გაცოცხლდა. სრულიად ბუნებრივია, რომ მან სასუფეველი უნივერსიტეტის პირველი პროფესორების გვერდით დაიკვიდრა“, — აღნიშნა იუსტინე აბულაძის ოჯახის ერთერთმა წევრმა ცისანა აბულაძემ.



ლოგიის კათედრას, აღზარდა ქართველ ირანისტთა თაობები. გამორჩეულად უყვარდა და საგანგებოდ იკვლევდა მსოფლიო მწერლობის სამ შედევრს: „ვეფხისტყაოსანს“, „შაჰნამესა“ და ვისრამიანს“. მონაწილეობდა სამივე ძეგლის ტექსტის დადგენაში, შეადგინა მათი ვრცელი ლექსიკონი, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობის მეცნიერულ შესწავლას.

ცერემონიას ესწრებოდნენ სოფელ როკითის წარმომადგენლებიც, სადაც დაიბადა და გაიზარდა იუსტინე აბულაძე. „დიდი პატივია ხსოვნა მივაცოცხლო ჩვენი სოფლის ღირსეულ შვილს იუსტინე აბულაძეს და მისი სახელის უკვდავსაყოფად გავხსნათ სახლ-მუზეუმი, რომელიც მომავალ თაობებს დიდი ქართველი მამულისმემკვიდრის ღვაწლს შეახსენებს“, — განაცხადა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტურიზმისა და კურორტების სამსახურის ხელმძღვანელმა გონა ხორავამ.

იუსტინე აბულაძემ თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღიდან გარდაცვალებამდე უნივერსიტეტის სამსახურს შესწირა თავი. იყო საქართველოში სპარსული ენის მეცნიერული სწავლების ფუძემდებელი, მანვე შეადგინა პირველი სახელმძღვანელო (1936 წ.). თბილისის უნივერსიტეტში დააარსა და სათავეში ჩაუდგა სპარსული ფილო-

ტერორიზმის ტრილოგია — პირველი ფუნდამენტური კვლევა ქართულ სამეცნიერო სივრცეში

პირველად ქართულ სამეცნიერო სივრცეში ტერორიზმის თემაზე ფუნდამენტური კვლევა დაიწყო, რაც, მსოფლიოს მასშტაბითაც კი, ამჟამინდელი ვითარებიდან გამომდინარე, მეტად აქტუალურია. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორი გიორგი გორაშვილი ტერორიზმის ტრილოგიაზე მუშაობს. პირველი ნაწილი თითქმის დასრულებულია. ნაშრომში დეტალურად იქნება განხილული ტერორიზმის არსი, მისი გამოვლენის ფორმები, ტერორიზმის ისტორიული და თანამედროვე დეტერმინანტები, თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის თავისებურებები, გლობალური და რეგიონალური საფრთხეების ქრილში საქართველოს ტერორიზმი პრობლემები.

ნათო მგოლაძე

„ტერორიზმის თემაზე თითქმის ყველა ნაშრომს ვიცნობ, რომელიც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში შეიქმნა, ასევე მეტნაკლებად ვიცნობ დასავლურ ლიტერატურას, მათი უმრავლესობა პოპულისტური და ზედაპირულია, მოკლებულია სამეცნიერო სიღრმეს. დღეს საინტერესო და სიღრმისეული ნაშრომები ტერორიზმთან დაკავშირებით თითხე ჩამოსათვლელია. ტრილოგიის პირველ ნაწილში შესულია ტერორიზმის ზოგადი ფენომენოლოგია, ის, თუ როგორ იცვლებოდა ტერორიზმი დროთა განმავლობაში, რა გავლენას ახდენდა ეს თუ ის ეპოქა ტერორიზმის შინაარსზე და ასევე პირიქით, როგორ მოქმედებდა ტერორიზმი სოციალური ჯგუფებისა და საზოგადოების განვითარებაზე. მოცემულია მკვეთრი ინდიკატორები, რითაც ტერორიზმი სოციალური კონფლიქტების სხვა გამოვლინებისგან იმიჯნება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან, როგორც ნესი, თუკი ერთისთვის „თავისუფლებისთვის მებრძოლი“ რელიგიისა და ეთნიკური უფლებების დამცველია, მეორესთვის უფლებების დამცველია, მეორესთვის უფლებების დამცველია. აღნიშნული პრობლემა ხშირად ხდება პოლიტიკური ვაჭრობის საგანი.



გიორგი გორაშვილი

ნაშრომში საინტერესო ხაზია ტერორიზმის იმ კონკრეტული მიმართულებების კვლევა, რომელიც საქართველოსთვის ტერორიზმის მნიშვნელობას ატარებს. არსებობს სხვა საფრთხეებიც, რომელთაგან საგულისხმოა 1990-იანი წლებიდან ჩრდილო კავკასიური ხალიფატის შექმნის იდეა. აღნიშნული იდეის მიხედვით რეაქციულ ისლამურ წრეებს აქვთ სურვილი ჩამოყალიბდეს ჩრდილო-კავკასიური ისლამურ-

ის სახელმწიფო, რომლის მართვა, ირანის მსგავსად განხორციელდება რელიგიური ნორმების მიხედვით. ამ მხრივ სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა ჩეჩნეთში, ინგუშეთში, ყაბარდო-ბალყარეთში. განხილული იქნება ირანის როლი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებზე.

ნაშრომის პირველ ტომში, ასევე, განალიზებულია „ახალი მსოფლიო მუსლიმანური წესრიგის იდეა“, რომლისთვისაც იბრძვის ირანი და ისლამურ სახელმწიფოთა დაჯგუფება. დაჯგუფების წარმომადგენლები თვლიან, რომ დღევანდელი სირიის ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფოს შექმნის მორალური და რელიგიური უფლება აქვს. საქართველოსთვის რეაქციული ისლამისტური გავლენები უცხო არ არის, თუ გავიხსენებთ იმ განწყობებს, რომელიც ჩრდილო კავკასიაში და პანკისის ხეობაშია. კიდევ რამდენიმე აქტუალური მიმართულებაა, რომელზეც კვლევის პირველ ნაწილში დეტალურად არის საუბარი“, — განაცხადა გიორგი გორაშვილმა.

ბის შექმნა-ჩამოყალიბების ისტორიასა და სტრუქტურულ მოწყობაზე იქნება საუბარი, მაგალითად ჰამასი, ალ-ქაიდა, ირანის გამათავისუფლებელი არმია, თამილის ვეფხეები და ა.შ. გიორგი გორაშვილის თქმით, ეს ინფორმაცია საინტერესო იქნება ოპერატიული მუშაკებისთვის. იგი ხელს შეუწყობს სამძებრო მოქმედებების განხორციელებას.

სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფარგლებში შექმნილი ორგანიზებული დანაშაულის პრობლემათა კვლევითი ცენტრის პრეზენტაცია 19 დეკემბერს გაიმართება თსუ-ის პირველ კორპუსში. ორგანიზებული დანაშაულის პრობლემათა კვლევითი ცენტრი საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის სისტემური კვლევის პირველი აკადემიური მცდელობაა. დაგეგმილია სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა, რომელიც მიეძღვნება ორგანიზებული დანაშაულის პრობლემებს საქართველოსა და ზოგადად კავკასიის რეგიონში.

ორგანიზებული დანაშაულის კვლევის მიმართულებით ცენტრის დამფუძნებლებმა, მათ შორის, სამართლის დოქტორმა გიორგი გორაშვილმა, გარკვეული სამუშაო უკვე გაწიეს — „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეუარებების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“ 2012 წელს გამოიცა. ნაშრომში ტრეფიკინგის, კანონიერი ქურდების, ქონების ჩამორთმევის პრობლემები და სხვადასხვა საკითხები განხილულია.



სტუდენტ-მსოფლიო



გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

ISTUDENT — პროგრამა, რომელიც თსუ-ის სტუდენტების ცხოვრებას შეცვლის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა ახალ პროექტს, რომელიც ექსკლუზიურად მხოლოდ თსუ-ის სტუდენტებისთვის იმუშავებს. პროექტი, რომლის სახელწოდებაც არის „ISTUDENT“ — ახალი სოციალური ქსელია. იგი განსხვავებულია ყველა სხვა არსებული სოციალური ქსელებისგან, მსოფლიოს ყველა ადამიანისთვის ცნობილ „ფეისბუქისგანაც“ კი. კონკრეტულად რა შესაძლებლობები ექნება ახალ სოციალურ ქსელს და რეალურად რისი შემოთავაზება შეუძლია მას ჩვენთვის, სტუდენტებისთვის, ამასთან დაკავშირებით ვესაუბრე იდეის ავტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-2 კურსის კომპიუტერული პროგრამირების მიმართულების სტუდენტს სანდრო მძინარაშვილს:



სანდრო მძინარაშვილი

— **სანდრო, საიდან დაიწყო თქვენი აქტიურობა, კომპიუტერულ პროგრამებზე მუშაობა და მისი დაწერა?**
— 14 წლის ვიყავი, როდესაც ტელეკომპანია „იმედში“ მუშაობა დაიწყო და სწორედ აქედან იწყება ჩემი აქტიურობა პროგრამირებასა და სხვადასხვა პროექტებში. „იმედში“ 2 წელი გავატარე, შემდეგ წავედი აშშ-ში ცოდნის ასამაღლებლად და 6 თვე იქ ვცხოვრობდი. შემდეგ, როდესაც ჩამოვედი, დაიწყო მუშაობა „პპლ“-ს წარმომადგენლობაში, პარალელურად ვმუშაობდი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზეც. დღეს ვმუშაობ გარემოს დაცვის სამინისტროში და ასევე ვთანამშრომლობ ტელეკომპანია „GDS“-სთან. აწყობილი მაქვს ძირითადად ყველა ტიპის ვებ-გვერდი. 19 წლის ვარ და ჯერჯერობით მხოლოდ ამის გაკეთება მოვახერხებ.
— **ვინ დაგეხმარა იმაში, რომ 14 წლის ასაკში ამდენი ინფორმაცია მიგელო პროგრამირებაზე და შემდეგ ეს პრაქტიკაში გაგეხორციელებინა?**

— არავინ. ეს ყველაფერი მოვახერხე მხოლოდ ჩემ თავთან მუშაობით. უბრალოდ, ეს თემა მაინტერესებდა ძალიან და ის, რაც გავაკეთე, მხოლოდ ჩემია. ასე რომ ვთქვათ, „თვითნასწავლი“ ვარ.
— **ახალი სოციალური ქსელის — „ISTUDENT“-ის შექმნის იდეა ვინმემ მოგანოდა თუ იდეაც მთლიანად შენ გეკუთვნის?**
— დავიწყეთ იქედან, რომ იდეაც, სახელიც და პროგრამაც ჩემია და ამაში წვლილი არავის მიუძღვის, მიუხედავად იმისა, რომ დღეს უკვე ბევრი მეხმარება მის ფუნქციონირებაში. პროგრამა ჩემს სერვერზეა აწყობილი და მე შევიძინე. ეს არ იყო რაღაც სპონტანური ან თუნდაც რაღაცებზე დამოკიდებული იდეა — იგი გაკეთებულია მხოლოდ თსუ-ის სტუდენტებისთვის და გათვლილია იმაზე, რომ მათ გაუადვილოს სტუდენტური ცხოვრება, თუმცა, „ISTUDENT“-ი არასოდეს იქნება „ფეისბუქი“. ბევრი მეუბნება, რომ მარკ ცუკერბერგმაც ასე დაიწყო, მაგრამ ამ პროგრამას სწორედ იმიტომ დავარქე „ISTUDENT“, რომ არასოდეს ვიფიქრო სხვა რაღაცაზე.
— **რა პროგრამაა „ISTUDENT“-ი და რაში დაგეხმარება იგი სტუდენტებს?**
— ეს არის კონკრეტულად თსუ-ის სტუდენტებისთვის და არა სხვა პირებისთვის (ან სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის) შექმნილი ქსელი, რომელშიც შეგიძლია დარეგისტრირდე და სხვადასხვა ქმედება განახორციელო. აქვს ძალიან ბევრი ფუნქცია, თუნდაც გამოცდების განრიგის ადგენა ან დახმარება, რაც გულისხმობს იმას, რომ

ტელეფონზე მოგივა შეტყობინება — თუ რა ადგილზე ზიხარ საგამოცდო ცენტრში სხვადასხვა გამოცდის დროს, შეგიძლია დარეგისტრირდე უნივერსიტეტში არსებულ ნებისმიერ ტურნირზე ყოველგვარი „ფორმა 20“-ის და პირადობის მონომის დამადასტურებელი ასლის გარეშე და ეს გააკეთო ღლიაკზე ერთი თითის დაჭერით. კონკრეტულად ამ ყველაფრის შესახებ უფრო ვრცლად შეიტყობ 26 ნოემბერს 18:00 საათზე თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში, სადაც გაიმართება „ISTUDENT“-ის პრეზენტაცია.
— **როგორ გახდა ცნობილი ამ იდეის შესახებ და რა დახმარება გავინათ უნივერსიტეტმა, რომ სტუდენტები ამ პროგრამაში ჩართულიყვნენ?**
— პირველი, ვისაც იდეა გავაცანი, იყო ჩემი და, რომელმაც სტუდენტურ თვითმმართველობასთან გადამამისამართა. ვესაუბრე თვითმმართველობის პრეზიდენტს შალვა საბაურს, რომელმაც კარგად დაინახა ამ პროგრამის საჭიროება და მომავალიც. ამის შემდეგ ჩაერთო მთლიანად თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობაც და დღეს უკვე, ჩემთან ერთად, სწორედ იგია ამ პროექტის სულის ჩამდგმელი. ვნახოთ, მომავალი წინაა. დარწმუნებული ვარ, რომ „ISTUDENT“-ი თითოეული სტუდენტის ცხოვრებას შეცვლის.
ტატო ირამაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

ჩვენ უიღბო დედების შვილები ვართ



ანი სარიშვილი

ლური შემოსავალი და იმედი, რომ მათ მაინც შეუქმნი მომავალს. დედა ახლა აქ არის. მონატრებული, ნატანჯი, მთელ სამყაროზე ძვირფასი და საუკეთესო დედა, რომელიც წამართვა ცხოვრებამ, ქვეყანამ და იღბალმა. მე ახლა მის დაბრუნებას ვცდილობ და იცით, რომ ეს ჩვენი თაობის განუკურნებელი სენიაა?!

ამ ქალების გზავნილები შეადგენს. გამოდის, რომ ისინი არიან ერთადერთი მარჩენალი საკუთარი ოჯახების და არა მარტო საკუთარი ოჯახებისა. მიგრანტების ფულადი გზავნილები ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას აღემატება. ჩვენ არ გვაქვს მინა, რომ დავამუშაოთ. ჩვენ არ გვაყავს მდიდარი ნათესავები სახელმწიფო სტრუქტურებში. ჩვენ უიმედო დედების შვილები ვართ. თქვენ კი მათ სასწრაფო კვეთილ ბრძოლას მანკიერებას უწოდებთ. სანამ აღსარებას ჩაიბარებთ და მათ, ვისაც თქვენი სჯერათ, ეტყვიან, რომ ცოდვები მიეტევათ, სულ ერთი ნაშთი, გადმოდით თქვენი შავი ჯიპებიდან, გამოართეთ თქვენი ბოლო მოდელის ტელეფონები, მოიხსენით თქვენი ოქროს ძეგლები, დატოვეთ საფულეები თქვენს სასახლეებში და მიდით ბავშვებთან, რომლებსაც წლებია არ ჰქონიათ ახალი სათამაშო, რომლებიც ნათესავების გამოცვლილი ტანსაცმლით იზრდებიან, რომლებსაც შესძულდათ სუპი ბრინჯი და შემის შეტანა გაყინულ სახლში.

შემდეგ კი მხოლოდ ერთხელ ჩახედეთ თვალებში მათ დედებს და მიხვდებით, რაზე არიან წამსვლელი. მიხვდებით, რომ მანკიერება სწორედ მათი განკითხვაა. თქვენ იცით, რომ თქვენს შვილებს არასდროს დასჭირდებათ სამსახური საქმლის საყიდლად. ისინი მიიღებენ განათლებას პრესტიჟულ უნივერსიტეტებში და მთავარი მათთვის ყველაზე ძვირად ღირებული იქნება.
დედას ეძინა, არ დაუნახავს ჩემი ცრემლები ამ განცხადების წაკითხვის შემდეგ. არ დაუნახავს იმედგაცრუებული შვილი. შევხედე მძინარეს და მივხვდი, რომ იგი საუკეთესო დედაა სამყაროში. მივხვდი, რომ მინდა, ჩემს შვილებსაც ჰყავდეთ, სწორედ ასეთი „მანკიერი“ დედა.

ანი სარიშვილი,
თსუ-ის ურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი

იქვსი წლის ვიყავი, როდესაც დედა საქართველოდან წავიდა. მამა ყოველდღე მაკითხავდა სკოლაში და სხვა დედებთან ერთად იწერდა ჩემს დავალებებს. მოვდიოდით სახლამდე და გზაში ვითვლიდი: აინ, ცვაი, დრაი, - გერმანულს ვასწავლიდი მამას. ზეიმზე დირექტორის გვერდით იჯდა, რადგან ჩვენს ლექსებსა და სიმღერებს მხოლოდ ორი მამაკაცი უსმენდა. იმ დროს დედა დარეკვასაც იშვიათად ახერხებდა. თუმცა მე ყოველთვის ყველაზე მეტი და ღამაზი ფანქარი, რვეული და სანერი კალამი მქონდა. შემდეგ ტანსაცმელი, მობილური ტელეფონი, ფული - ფუნთუშების საყიდლად. ერთი სიტყვით, ბავშვობამ ლალად ჩაიარა. მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, რომ მე ვერ მოვახერხე — სკოლიდან დაბრუნებულს — დედის გაკეთებული საქმელი მეჭამა, დავვარცხნა ჩემთვის თმა ბანაობის შემდეგ, მომეყოლა, როგორ შემეყვარა პირველად და როდის ვიგრძენი პირველი იმედგაცრუება...

დიდხანს ვბრაზობდი მასზე და მტკიოდა მარტოობა. გავიზარდე და გავაანალიზე, რომ ქალისთვის, რომელსაც ორი შვილი ჰყავს, რთულია, არ იბრძოლო ცხოვრებასთან. რთულია, არ გქონდეს სახლი, სტაბი-

სამსახურიდან დაბრუნებული კომპიუტერის მიუჯექი და სოციალურ ქსელში დამხვდა აფიოტაჟი, რომელიც საქართველოს პატრიარქის განცხადებამ გამოიწვია. „დღეს შემოვიდა საქართველოში მანკიერი წესი — დედები ტოვებენ თავის ოჯახებს, მიდიან უცხოეთში და ქმარ-შვილი უპატრონოდ რჩებათ სახლში. ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ არის სამუშაო, არ არის სამსახური. ეს არ არის სწორი. ყველაზე დიდი ქომაგი და დამხმარე ადამიანისა არის ჩვენი დედამინა. ერთ-მა საქმემ თუ ვერ გაგიმართლათ, მოეკიდეთ მეორეს, მესამეს, მეათეს“.

ბევრმა გაიკვირა — გადახვეწილ ემიგრანტებს სთავაზობენ დაბრუნებას ქვეყანაში, სადაც მაძღარი მხოლოდ ხელისუფლებაა, სადაც საშუალო შემოსავალი 300 ლარია, ერთი პური კი 80 თეთრი ღირს, სადაც მოსახლეობის ნახევარი სოციალურად დაუცველია. განათლება ძვირია, განათლებამდე მისაღწევი გზა კი — გაუვალი და თუ ამ გზის გავლას მოახერხებ, შემდეგ მხოლოდ იღბალს უნდა მიენდო, რომელიც მოწყალე სულაც არ არის.

ის განცხადება კი, რომელიც ზემოთ მოვიყვანე, ეტკინათ დედებს, რომლებსაც ენატრებათ სახლი, რომლებიც ვერ ხედავენ, როგორ სწავლობენ მათი შვილები პირველ ლექსს, რომლებიც ვერ ესწრაფებიან ოჯახის წევრების დაბადების დღეებსა და ნიშნობებს; დედებს, რომლებიც ავსებენ ამ ქვეყნის ბიუჯეტს. 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 3 778.5 ადამიანი ცხოვრობს. ანაოფიციალური სტატისტიკით, საქართველოდან 1 607 744 ადამიანი გასული, მათგან 65% ქალი, რომელთა ოჯახების შემოსავალს (სრულად ან ნაწილობრივ)



ტსუ-ში ფილოსოფიის საერთაშორისო დღე აღინიშნა



ფილოსოფიის დღეს, ასევე, ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 85 წლის იუბილეს მიეძღვნა. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ეს კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თითქმის ყველა ფაკულტეტისა და სპეციალობის სტუდენტი მონაწილეობს. სულ 43 მოხსენებაა წარმოდგენილი, თემატიკაც საკმაოდ მრავალფეროვანია — სტუდენტების კვლევები ეხება როგორც ფილოსოფიურ, ასევე, რელიგიურ, საღვთისმეტყველო თემებს. ამას ხაზგასმით აღვნიშნავ, რადგან ფილოსოფიის ინსტიტუტს მაინორ-პროგრამა აქვს თეოლოგიაში, რომელიც სტუდენტების მხრიდან დიდი ინტერესით სარგებლობს.

კონფერენციაზე რეგიონებიდანაც მოვიწვიეთ სტუდენტები, თუმცა წელს ვერ ჩამოვიდნენ, რადგან მათაც დაინყეს ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კონფერენციების ჩატარება. მომავალი წლიდან ვგეგმავთ, რომ საერთაშორისო მასშტაბებზე გავიდეთ“, — განაცხადა ფი-

ლოსოფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა დემურ ჯალალონიამ.

„ფილოსოფია და დღევანდელიობა“ რეგიონალურ კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები თემატურად საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ. მასში მონაწილეობდნენ თეოლოგები, თურქოლოგები, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებსაც, მათი ინტერესების შესაბამისად, ნებისმიერი თემის წარმოდგენა შეეძლო.

„ჩემი მოხსენება შეეხებოდა მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიაში პროფანულ მეტაფიზიკას. შევეხე მის სალექციო კურსებსა და ტექსტებს (თუ შეიძლება მამარდაშვილის კონტექსტში ვილაპარაკოთ ტექსტებზე), ანუ რამდენად რაციონალურად და რელევანტურად იმონებებს იგი წყაროებს. მიმაჩნია, რომ ეს კონფერენცია სტუდენტებისთვის საკმაოდ ნაყოფიერი და კარგია“, — აღნიშნა დოქტორანტმა ლაშა მათიაშვილმა.

„ჩემი მოხსენება ეროსის შესახებ გახლდათ ორი ფილოსოფოსის — პლატონისა და პლოტინის მიხედვით. მარტივად თუ ვიტყ-

ვით, ეროსი სიყვარულის ღმერთია, მაგრამ აქ საუბარია, რომ იგი სიბრძნისკენ სწრაფვასაც უწყობს ხელს. კონფერენციაში „ფილოსოფია და დღევანდელიობა“ პირველად არ ვიღებ მონაწილეობას, მაგრამ წელს კონფერენცია განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მასში ბევრი სპეციალობის სტუდენტი მონაწილეობს“, — გვითხრა თსუ-ის ფილოსოფიის მიმართულების IV კურსის სტუდენტმა ნინო მაისურაძემ.

კონფერენცია „ფილოსოფია და დღევანდელიობა“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2002 წლიდან ნოემბრის ყოველ მესამე ხუთშაბათს ტარდება. ტრადიციას იუნესკოს დადგენილებით ჩაეყარა საფუძველი, რის მიხედვითაც აღნიშნული თარიღი ფილოსოფიის საერთაშორისო დღედ გამოცხადდა. სტუდენტთა სამეცნიერო რეგიონალურ კონფერენციას წინ უძღოდა პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენცია, რომელიც 19 ნოემბერს, ასევე, თსუ-ში გაიმართა.

მომზადდა ნატო ოპოლაქმა



„ფილოსოფია და დღევანდელიობა“ — თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტმა 24 ნოემბერს რეგიონალური სამეცნიერო კონფერენცია გამართა. კონფერენცია იუნესკოს პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა და ფილოსო-

საჯარო გამოსვლების ჩემპიონატი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით საჯარო გამოსვლების ჩემპიონატი მესამედ ჩატარდა.

ჩემპიონატი ორ ტურად გაიმართა, პირველ ეტაპში 23 სტუდენტი შეირჩა, ფინალისთვის კი 8 სტუდენტი.

ჟიური ხუთი ადამიანისგან შედგებოდა: სტუდენტი ტატო ირემაძე, ჟურნალისტი და მონვეული ლექტორი დავით ქაშიაშვილი, ჟურნალისტი და თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი თამარ ბელქანიძე და ალისა სულამანიძე.

პირველი ტური საკმაოდ აზარტულად გაიმართა, 3 დან 5 ნუთამდე დრო საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მონაწილეებს სათქმელი ეთქვათ. ყველა გამომსვლელის პრეზენტაცია საინტერესო იყო, თუმცა იყვნენ გამორჩეულებიც.

პირველი გამომსვლელი ნიკა გოგბერაშვილი გახლდათ სიყვარულის თემით, რომლის პირველი პრეზენტაცია ჩარლი ჩაპლინის მონოლოგით დაიწყო, სადაც მან ცხოვრების ეგზისტენციალიზმზე

ისაუბრა, შემდეგი იყო სალომე ზანდუკელი, „ცოტაოდინი მარილიანი წრე“, რომლის პირველი პრეზენტაცია ყოფიერების არსს ეხებოდა. იგი იყო ემოციური, გამოსვლა დაფაზე წრის შემოხაზვით დაიწყო და განაგრძო — რას ნიშნავს ჩაკეტილი წრე... და როგორ უნდა გავარღვიოთ წრე, რომელიც გვხუდავს. მართალი თამარ ნარმანიამ გააგრძელა, მან ადამიანის დამალულ ღირსებებზე ისაუბრა, იგი იყო მხიარული, ემოციური, დამაჯერებელი... მისი პრეზენტაცია მცდელობა იყო — გაერკვია როდის არიან ადამიანები ისეთები, როგორებიც რეალურად არიან... გამომსვლელების პრეზენტაციები იწვევდა დებატებს აუდიტორიასთან, რაც ამკარად მომხსენებლების პლუსია. თამარის შემდეგ ტარტი აილო ნინო ტაბალუამ თემით „ცხოვრებისეული მისია“. მისი მშვიდი, თბილი ხმა შეესაბამებოდა ცხოვრებისეული მისიის გააზრებას, რომ მთავარი ადამიანური ურთიერთობები და შინაგანი სიბოროტე გამოვლინებაა. ასევე საინტერესო იყო შარშანდელი გამარჯვებულის ნინო შველიძის საჯარო გამოსვლა. იგი ტრანსფორმირებული მონოპოლიის

თემას შეეხებოდა. მან ისაუბრა როგორ ხდება თემის გადაფარვა ადამიანის ხმის ქუჩის ხმით, პატარა მალაზია დიდი სუპერმარკეტით და, საერთოდ, როგორ იკარგება პიროვნება მასებში და რომ სწორედ ის მასაა გადაწყვეტი მონოპოლისტური ხმით. თემას ერთგვარად აგრძელებდა შემდეგი გამომსვლელი მარიამ კავილიძე „სისტემის გარღვევით“. მას თავისი გამოსვლით სურდა გაერღვია ყველა არსებული სისტემა და შეეცვალა სამყარო. გამომსვლელი, რომელიც ჟან რენოს ფილმიდან „ლეონე“ მატყლდას წააგავდა, ჟიური და აუდიტორია ძალიან ჩააფიქრა მოთხრობილი ამბით, თუმცა მისი პირველი გამოსვლა ბევრად ეფექტური იყო, ვიდრე დასკვნითი აკორდი. ანა ურუშაძე დიდი ხნის დუმილის შემდეგ ემოციურად მოგვინოდებდა, რომ ლაპარაკი ლაპარაკისთვის უნდა დავივიწყოთ. მან იკითხა, როდის ვიყავით ბედნიერი ან როდის ვიცეკვეთ ბოლოს. გამომსვლელი არტისტული მიმიკები თუ სხეულის ენა მას განსაკუთრებით გამოარჩევდა სხვა გამომსვლელისგან, რომლის წინააღმდეგ გამოსვლა მისი სახელის მისტიკურად გააზრებას ეხებოდა. საჯარო გამოსვლების ფინალური მონაწილე იყო მარიამ ტყეშელაშვილი ე.წ. კუბიკ-რუბიკით ხელში. მან საკმაოდ არტისტულად ისაუბრა ციფრების მისტიკურობის შესახებ. მისი პრეზენტაცია იყო ფიერვერკი, რადგან მან შეძლო ისე გაეჩერა თავისი პრეზენტაცია, რომ ეს ყოფილიყო მონოსუპეტაკალი — ლია კარში შემოვიდა ერთ-ერთი მონაწილეს დედა, რომელმაც საკუთარ შვილს, კონკურსის მონაწილეს მიულოცა დაბადების დღე.

ჟიურის 10 ნუთიანი ფიქრის განსჯისა და კენჭისყრის ფონზე პირველი ადგილი მარიამ ტყეშელაშვილმა, II თამარ ნარმანიამ, ხოლო III სალომე ზანდუკელმა დაიკავა.

ფინალი ჟიურის წევრმა ტატო ირემაძემ შეაჯამა. ფულადი პრემიები ასე განაწილდა: I ადგილზე გასულს 200 ლარი, II ადგილზე — 150 ლარი, III ადგილზე — 100 ლარი. ფულადი ჯილდოების გარდა მათ გადაეცათ დებატების მონაწილის სიგელები.

ტატო ირემაძე: „ჩემპიონატზე სტუდენტები გამოავლენენ საკუთარ შესაძლებლობებს, ასევე აიმაღლებენ საჯარო გამოსვლების ტექნიკას და ზოგადად უნივერსიტეტის მასშტაბით მოხდება მსგავსი პროექტების პოპულარიზაცია სტუდენტებში“.



ალისა სულამანიძე: „ინოვაცია საჯარო გამოსვლებაში ის იყო, რომ ორ ტურიანი ფორმატი დაენერგეთ, რადგან გამომსვლელის კონკურენცია გაგვეზარდა, პრიზებიც წინა წლებთან შედარებით უფრო სოლიდურია“.

თათია პაჭკორია: „ეს პროექტი, რომელიც სტუდენტის თვითგამოხატვას ემსახურება, ძალიან მნიშვნელოვანია და მათ შესაძლებლობას აძლევს, რომ საკუთარი სათქმელი დიდი აუდიტორიის წინაშე თქვან. ასეთი პროექტის დროს აკადემიური პერსონალი გრძობს სტუდენტის მაჯისცემას“.

დავით ქაშიაშვილი: „პირველად ვესწრებოდი მსგავს ღონისძიება-შეჯიბრს, ცოტა უცნაური მგონია 18-20 წლის ახალგაზრდების მონაწილეობა საჯარო გამოსვლების თამაშში, თუმცა ერთია — რა მგონია და მეორე — რაც ვნახე. კმაყოფილი ვარ ყველა გამომსვლელით, მათი თემებით, დიდი სიამოვნებით გაემართავი დებატებს გამომსვლელთან. მაღლობა სტუდენტებს მოწვევებისთვის“.

თამარ ბელქანიძე: „მსგავსი პროექტები ხელს შეუწყობს საკარო ფიგურების ვერბალური იმიჯის დახვეწას. ეს უმნიშვნელოვანესი კომპეტენციაა, როდესაც ადამიანს აქვს უნარი საჯარო გამოსვლის“.

ჩანართის რედაქტორი:
თათია ჭრიკიშვილი,
თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი



ახალი კვლევები სამართლის თეორიაში

ნათო მოლოკაძე

სამართლის მეთოდების მიმართულებით სამ ახალ სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობა სრულდება. კვლევა შიდა საუნივერსიტეტო საფაკულტეტო გრანტის ფარგლებში სამ აქტუალურ თემაზე ხორციელდება. ასისტენტ-პროფესორი მაკა ნუცუბიძე სახელმძღვანელოზე „სამართლის თეორიის შესავალი“ მუშაობს, ასისტენტ-პროფესორი ლაშა ბრეგვაძის ნაშრომი სამართლის სოციოლოგიის ასპექტებს შეეხება, ასოცირებული პროფესორი ლელა ჯანაშვილი კი რეისიტენციის უფლებასა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის თეორიის საკითხებს იკვლევს. ინტერდისციპლინურ ნაშრომში აღნიშნული საკითხის სოციოლოგიური და სამართლებრივი ასპექტებია განხილული. ნაშრომი 2 თავისგან შედგება: რეისიტენციის უფლება და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის თეორია. პირველ ნაწილში განხილულია რეისიტენციის უფლების წარმოშობა

და განვითარება (მისი ევოლუცია ტირანიიდან რეისიტენციის უფლების თანამედროვე გამოყენებამდე — ისტორიული მიმოხილვა); რეისიტენციის უფლება, განმანათლებლები რეისიტენციის უფლების შესახებ (ჯონ ლოკის კონცეფცია) და მისი დეფინიცია; პოლიტიკური შინაარსი და განსხვავება სახელმწიფო გადატრიალებისგან; რეისიტენციის უფლების სახეები - კონსტიტუციური გარანტიები და ინდივიდუალური რეისიტენციის უფლება; რეისიტენციის უფლების თანამედროვე დოქტრინა; თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში განმტკიცებული უფლება და მისი განხორციელება; კონკრეტული ქვეყნების მაგალითების განხილვა და ანალიზი. მეორე ნაწილში კი უშუალოდ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის თეორიული საკითხებია შესული: სამოქალაქო დაუმორჩილებლობის თეორია (ჯ. როულზი); განსხვავება წინააღმდეგობის უფლებისგან და მისი პოლიტიკური შინაარსი; დამახასიათებელი ნიშნები და ძირითადი პრინციპები; კანონის შეგენ-

ბუღად უარყოფა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობა; სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გამოყენების უფლების კონკრეტულ მაგალითების განხილვა და სამართლებრივი ანალიზი. „ნაშრომის მიზანია წინააღმდეგობის უფლებისა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ფენომენის ევოლუცია, მათ შესახებ სხვადასხვა მოსაზრებათა შესწავლა და ანალიზი. დღეს, თანამედროვე მსოფლიოში, კვლავ ვხვდებით სამოქალაქო დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის უფლების გამოყენების ფაქტებს — არაბული რევოლუციები, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განვითარებული მოვლენები შეიძლება ჩაითვალოს რეისიტენციის თანამედროვე გამოყენების ფორმად. ჯ. როულზის აზრით, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის თეორია კი შემუშავებულია მაქსიმალურად სამართლებრივი საზოგადოების მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევისთვის — საზოგადოებისათვის, რომელიც უმრავლეს სფეროებში მოწესრიგებულია, თუმცა, მი-



ლელა ჯანაშვილი

ქართული სამართლის სისტემის მიმოხილვა, ქვეყნის წესების, სამართლის სუბიექტებისა და ქართული საკანონმდებლო სისტემის ანალიზი. სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და სამართლებრივი საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის“, — აღნიშნა ასისტენტ-პროფესორმა მაკა ნუცუბიძემ. იურიდიული ფაკულტეტზე „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ პირველ სემესტრში იკითხება. ლელა ჯანაშვილის განცხადებით, ამ დარგში ქართულენოვანი ლიტერატურა მწირია. აღნიშნული ნაშრომების გამოცემის შედეგად კი ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარდება. ავტორები კვლევითი სამუშაოების დასრულებას იანვრის დასაწყისისთვის ვარაუდობენ. სამივე ნაშრომი სტუდენტებისთვის, პროფესორებისა და დაინტერესებული პირებისთვის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ვებ-გვერდზე იქნება ხელმისაწვდომი. კვლევების გამოცემა მომდევნო წლის მარტში იგეგმება.

თინათინ წერეთლის 110 წლის იუბილე



თინათინ წერეთელი

ბული. კონფერენცია თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ გახსნა, რომელიც ეკონომიკის ინსტიტუტში მოღვაწეობისას თინათინ წერეთელს პირადად იცნობდა. „განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულებამ პატივი მიაგო ღვაწლმოსილი მეცნიერის, სისხლის სამართლის ფუძემდებლის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, თინათინ წერეთლის 110 წლისთავს. ნიშანდობლივია ის, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ თინათინ წერეთელმა სამეცნიერო საქმიანობა ცნობილი იურისტის, იურიდიული ფაკულტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით განაგრძო. თინათინ წერეთლის სამეცნიერო საქმიანობის სფეროში განსაკუთრებით გამოირჩევა მისი დისერტაცია, თემაზე: „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“, რომელიც მან მოსკოვში, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაცვა. ეს ნაშრომი დღესაც აქტუალურია, როგორც საქართველოში, ასევე, ევროპულ სისხლის სამართალში. თინათინ წერეთელი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, რომელიც მის სახელს ატარებს. იგი საზღვარგარეთ გამართულ სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე აქტიურად მონაწილეობდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თინათინ წერეთლის სამეცნიერო შრომები, რომლებიც ბოლო დროს 4 ტომად გამოიცა და ამ ნაშრომებზე იურისტთა არაერთი თაობა გაიზარდა და კვლავაც გაიზრდება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.



თინათინ წერეთლის 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია 24 ნოემბერს გაიხსნა და ორი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ღონისძიებაზე მიხსენებები როგორც პროფესორებმა, ასევე, სტუდენტებმაც წარმოადგინეს. მათ შორის იყო პროფესორ მერაბ ტურავას — „დანაშაულის სისტემა თინათინ წერეთლის მოძღვრებაში და მისი განვითარების თანამედროვე მოდელი“, სამართლის დოქტორის ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხის — „თინათინ წერეთლის მარადიული კონცეფციები“, პროფესორ ნონა თოდუას — „თანაღმსრულებლობის საკითხი შერეული უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულში“, თსუ-ის ემერიტუს პროფესორი გურამ ნაჭყებია — „დანაშაულის ცნების გენეზისური მოდელი და მნიშვნელობა“, თსუ-ის დოქტორანტის თამარ მახარობლიძის — „არასრულწლოვანთა სასჯელები ახალი კანონმდებლობის მიხედვით“ და ა.შ. კონფერენციაზე თინათინ წერეთლის სახელობის სტუდენტთა საზოგადოების მუშაობის ანგარიშიც წარმოადგინეს, რომელიც ერთი წლის წინ პროფესორ მაია ივანიძის ინიციატივით დაფუძნდა. „შეხვედრა წარმომადგენლობითი იყო. ესწრებოდნენ თინა წერეთლის მოწაფეები, ადამიანები, რომლებიც თავად იცნობდნენ ქალ-

ბატონ თინას, მასთან ერთად თანამშრომლობდნენ და მისი მოწაფეთა მოწაფეები ანუ ჩვენი სტუდენტები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებმა. იყვნენ სტუმრები ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, ილიაუნდიდან, რაც კიდევ ერთხელ მოწინააღმდეგავს, რომ საქართველოში თინა წერეთელს, როგორც სისხლის სამართლის ერთერთ დამფუძნებელს დიდ უპირატესობას ანიჭებენ. სიმბოლური იყო, რომ კონფერენციას დაესწრნენ მისი გვარის წარმომადგენლები. მათ მოგვანოდეს ინფორმაცია, რომ სოფელ ცხრუკვეთში გაიხსნა გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი, სადაც თინა წერეთლის შესახებ საკმაოდ ბევრი ინფორმაცია ინახება. ფაქტია, თინა წერეთელმა წარუშლელი კვალი დატოვა მის მოწაფეებში, დედასავით იყო მათთვის. თანაც, მას ძნელ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა და მიუხედავად ამისა, ქართულ სისხლის სამართალში ევროპული აზროვნება შემოიტანა. იუბილეს მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ის, რომ სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ. ეს, ერთგვარად, სიმბოლურიც გახლავთ, რადგან თინათინ წერეთლის ღვაწლი ახალ თაობასაც ახსოვს და ავა-

სებენ“, — განაცხადა პროფესორმა მაია ივანიძემ. „ჩემი მოხსენება თინა წერეთლის ცხოვრებასა და ბიოგრაფიას შეეხებოდა. ჩვენთვის ძალიან საინტერესო და სასარგებლო იყო პროფესორების მერაბ ტურავას, ნონა თოდუას, ქეთევან მჭედლიშვილის მოხსენებები. გაიმართა ძალიან საინტერესო დისკუსია და საერთო ჯამში, ვფიქრობ, ღონისძიება წარმატებით ჩატარდა“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა მარიამ ბეგიაშვილმა. პროფესორი თინათინ წერეთელი, მეცნიერულ საქმიანობასთან ერთად საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი შეიძვერ აირჩიეს ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად, იყო ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ და ჟურნალ „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი. მონაწილეობდა საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებში. მის მოხსენებები აღიარებული იყო რომში, ბუდაპეშტში, მოსკოვსა და პოლონეთში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებზე. თინათინ წერეთლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმომადგენელი მოხსენებები უახლოეს მომავალში კრებულად გამოიცემა.

მომზადდა ნათო მოლოკაძემ



2006 წელს გაუქმებულ ვაჟა-ფშაველას კაბინეტში მისი წარსული გაბრწყინდა



2006 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებულ ეგრეთ წოდებულ „ლომიაის რეფორმებს“ ვაჟა-ფშაველას კაბინეტში შეენიშნა. სწორედ მაშინ გაუქმდა ყველა კაბინეტი, რაც უნივერსიტეტის წიაღში ფუნქციონირებდა და ვაჟა-ფშაველას კაბინეტი თსუ-ის მუზეუმს შეუერთეს. ეს უკანასკნელი გადარჩეულია მამინდელმა რექტორმა მისი მრჩევლის, მეტად პატივცემული პროფესორ ჯუმბერ ჭუმბურიძის რჩევისთვის ახგარიშის განევის მოტივით მიიღო და სწორედ ამიტომ შენარჩუნდა უკვე მუზეუმის ფარგლებში ე.წ. ვაჟას კაბინეტი. ზოგიერთი უნივერსიტეტისთვის ეს დრამატული წარსული დღეს უკვე ისტორიას ჩაბარდა და, თსუ-ის რექტორის ლადო პაპავას მხარდაჭერით, 18 ნოემბერს ვაჟა-ფშაველას მუდმივმოქმედი ექსპოზიცია სწორედ იმ ოთახში გაიხსნა, სადაც საუკუნის წინ კლასიკოსი მწერალი ვარდაცივალა. „ამ მოვლენას დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვს: ვაჟა-ფშაველამ თავისი ცხოვრება ქოხში დაიწყო და უნივერსიტეტში დაასრულა, ამ კაბინეტის გახსნაც ამის დასტურია, რომ ვაჟა თავისი ცხოვრებით, თავისი გარდაცვალებით და მთელი მისი შემოქმედებით „გვაიძულებს“ გავითავისოთ მისი ფასეულობები და თაობებს გადავცეთ“, — დღეს უკვე ასე საუბრობს ვაჟა-ფშაველას შთამომავალი, ვაჟა-ფშაველას ფონდის თავმჯდომარე ლელა რაზიკაშვილი, რომელიც მისი დიდი წინაპრის კაბინეტის გახსნას დაესწრო.

შურთსია გაროშვილი

„ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილეზე უნივერსიტეტმა მის სსოვნას პატივი მიაგო. ჩვენ გვჯერა, რომ ეს ოთახი ერთ-ერთი საყვარელი ადგილი გახდება ჩვენი სტუდენტებისთვის, სადაც გაიმართება შემოქმედებითი საღამოები. ეს დღე კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ვაჟა არასდროს „ნასულა“ უნივერსიტეტიდან“, — განაცხადა ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა თსუ-ის მუზეუმის დირექტორს მათა გურაბანიძეს და თსუ-ის მუზეუმის უფროს სპეციალისტს მამუკა ჭანტურაიას ვაჟა-ფშაველას მუდმივმოქმედი ექსპოზიციის განახლებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ვაჟა-ფშაველას კაბინეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად 1961 წელს,



პროფესორ გრიგოლ კიკნაძის ინიციატივით დაარსდა და იგი 2006 წლამდე ფუნქციონირებდა. მას შემდეგ რამდენჯერმე იყო კაბინეტის აღდგენის მცდელობა, რის შესახებ დადგენილებებიც არსებობს, მაგრამ ამ დრომდე ვერ განხორციელდა. დაახლოებით ერთი წლის წინ თსუ-ის მუზეუმის დირექტორის მათა გურაბანიძის ინიციატივით და თსუ-ის რექტორის ლადო პაპავას ხელშეწყობით დაიგეგმა ვაჟა-ფშაველას მუდმივმოქმედი საექსპოზიციო დარბაზის აღდგენა და თსუ-ის მუზეუმისთვის მიერთება.

„მნიშვნელოვანია, რომ ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლის თავზე გადაწყდა უნივერსიტეტში, იმ ოთახში, სადაც ვაჟა-ფშაველამ უკანასკნელი დღეები გაატარა, მემორიალური მუზეუმი გახსნილიყო. უნივერსიტეტის ამ ფლიგელში არსებულ ლაზარეთში გარდაიცვალა პოეტი. მუზეუმში გამოფინეთ ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტი, რომელიც იმ პერიოდში ოფიციალურად გამოიცა: უწყებებს შორის მიმოწერები, ასევე, მისი რამდენიმე ხელნაწერი. მემორიალური მუზეუმი განთავსდა ოთახში, სადაც დიდად მწერალმა უკანასკნელი დღეები გაატარა. გამოფინა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები. მათ შორისაა მწერლის დაბადების მოწმობა, სხვადასხვა დროის ცხოვრებისეული საბუთები, გარდაცვალების ამსახველი დოკუმენტები, მგოსნის ხელნაწერთა ასლები. ასევე პოეტის ნიღაბი, საწვენე, რითაც სარგებლობდა ავადმყოფი პოეტი, ვაჟას მამის, პავლე რაზიკაშვილის ხელჯობი და სხვა. მუზეუმში განთავსდა ვაჟას ნაწარმოებებზე შექმნილი ცნობილი მხატვრების: ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, გოგი და ირაკლი ოჩიაურების, სევერიან მასისაშვილის, ლევან ცუცქერიძისა და სხვათა ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრები“, — განაცხადა თსუ-ის მუზეუმის დირექტორმა მათა გურაბანიძემ.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას მიმართა თსუ-ის მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა, ვაჟა-ფშაველას მემორიალური კაბინეტის დაფუძნების ერთერთმა ინიციატორმა მამუკა ჭანტურაიამ.

„დღეს ჩვენს უნივერსიტეტს ზეიმი აქვს. ტკბილ-მწარეა ეს ზეიმი. ტკბილია, რადგან უნივერსიტეტში ვაჟას სამარადისოდ დამკვიდრების აღმნიშვნელია; მწარეა, რადგან იგი ვაჟას გარდაცვალებას უკავშირდება. დღეს, აქ, ამ ოთახში, თითქოს ჩაგვესმა 100 წლის წინ მოწყალეების დასთან ვაჟას საუბარი. რომელი საათიაო — უკითხავს დიდ მწერალს იმ საბედისწერო დღეს. სამიაო — უპასუხია მედდას.

„მიკვირს, სამ საათამდე როგორ ვიცოცხლე“, — უთქვამს ვაჟას.

„იმას ვგრძნობ, რომ ეს საათი ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი საათიაო“.

ეს გახლდათ ჩვენი სასიქადულო პოეტის უკანასკნელი სიტყვები...

აქ, ამ ოთახში, სამუდამოდ დადუმდა დიდი მგოსნის ბაგე. აქ, ამ ოთახში, დაიხურა გენიოსი შემოქმედის ცხოვრების წიგნი. მაგრამ, როგორც იტყვიან, ღირსეულ მამულიშვილებთან სიკვდილს რა ხელი აქვს. ვაჟა ცოცხალია და იცოცხლებს მანამ, სანამ იარსებებს ქართული გენი, ანუ იცოცხლებს სამარადისოდ.

დღეს ჩვენს სიბრძნის ტაძარში ზეიმი. ამ დღეს ელოდნენ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მოყვარული ადამიანები



წლების მანძილზე, ამ დღეზე ოცნებობდა ჩვენი სასიქადულო მეცნიერი და ღირსეული მამულიშვილი, უპირველესი ვაჟაოლოგი — გრიგოლ კიკნაძე, ამ დღის დადგომას ესწრაფოდნენ ვაჟას პოეზიის მოტრფიალე სახელოვანი მეცნიერები — ჯუმბერ ჭუმბურიძე, იუზა ევგენიძე, ალექსი ჭინჭარაული, რომელთა ღვაწლის უთქმელობა უმადურობა იქნებოდა ჩვენი მხრიდან. ცხადია, აქვე უნდა მოვიხსენიოთ უფროსი და უმცროსი თაობის მრავალი მკვლევარი, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს ვაჟას შემოქმედების შესწავლის საქმეში. ამიერიდან მნიშვნელოვანი მოვალეობა დაეკისრება ვაჟას უკანასკნელი დღეების მოწმე ამ ოთახსაც, რომელიც მთელი საუკუნე მდუმარებდა და ფართო საზოგადოებისთვის მისი ადგილ-სამყოფელი უცნობი იყო. დღეს კი ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი დოკუმენტებით, ასევე, მისდამი მიძღვნილი ქართველ ხელოვანთა ნამუშევრებით ამეტყველდა იგი. ცხადია, მომავალში ახალ-ახალი ექსპონატებით შეივსება ჩვენი გამოფენა. მოვლენ თაობები, ახალგაზრდებით აივსება უნივერსიტეტის აუდიტორიები, მათ შორის ჩვენი მუზეუმის ოთახებიც. ახალი დროის ეს გოგო-ბიჭები ახალ სიცოცხლეს მოიტანენ, მაგრამ არასდროს იტყვიან უარს ქართველი ხალხის დიდი მეგზურების: ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ბრძნულ შეგონებებზე: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“, — გვმოდღვრავდა ილია, „ვინც საკუთარ წარსულს ივიწყებს, იგი მომავალზეც ხელს იღებს“, — გვიქადაგებდა აკაკი. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეში მხარში ამოგვიდგა“, — განაცხადა მამუკა ჭანტურაიამ.



მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, ირაკლი იმედაძე, ირმა რუხაძე	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკორექტორი	ანა ბოლქვაძე		tsunewspaper@tsu.ge
კომპ. უზარუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		2 22 36 62